უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №67

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 13/12/2019 წ.
სხდომის დაწყების დრო 16:20 სთ.
სხდომის დამთავრების დრო 19:30 სთ.
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი- სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი);
3. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
6. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
7. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;
8. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
10. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;
11. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო გაგელიძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I-IV
2	ლევან მაკარაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ვეტერინარიის პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	I-IV
4	მერაბ ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	I-IV
5	რევაზ ჭიღლაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
6	ცისკარა ზარანდია	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
7	გოჩა თუთბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
8	ილია ბოცვაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	IV
9	თორნიკე ხომტარია	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	IV
10	ავთანდილ გაგნიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	IV
11	რამაზ ხომერიკი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	II

საბჭოს თავმჯდომარე _____ ბელმიწეს

12	თამარ ჭელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II
13	გიორგი ჯიბუტი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
14	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
15	მარინა ქარჩავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროორექტორი	III
16	ნინო წიკლაური	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	III
17	ნათია სამუშია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროორექტორი	III
18	მიხეილ სონდერს	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
19	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	III

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლევან ციცქიშვილი		I
2	ლელა გურგენიძე		I
3	მაია ბარამიძე		IV
4	ნანა ფირცხელანი		IV
5	გიორგი ტიტვინიძე		II
6	ელინა ბაქრაძე		II
7	ალექსანდრე ფიჩხაძე		II
8	ვახტანგ ბალავაძე		III
9	ნანა იაშვილი		III
10	ანჟელა აბულაძე		III

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერის

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27³ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4) შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი -
ცვლილების საფუძველი -სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა საბჭოს წინაშე იშუამდგომლეს „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო საკითხად გადატანის შესახებ, იმ მიზეზით, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მანამდე ვერ დაესწრებოდა სხდომას.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი:

1) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3) შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარე _____ ბელაძეს

1. პირველი საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ვეტერინარია
2	სტატუსი[2]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ინტეგრირებული სამაგისტრო
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„----"
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841 ვეტერინარია
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0841
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	308
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122; უნივერსიტეტის II კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია, ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/6) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რათა მას ვიზიტის თაობაზე პოზიცია დაეფიქსირებინა. ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია ლევან ციცქიშვილმა წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 25 ოქტომბერს და დაამატა, რომ დასკვნაში გაპარული იყო ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, დასკვნაში რეკომენდაციები არ იყო ცალკე გამოტანილი და გაერთიანებული იყო რჩევების ნაწილში, მაშინ როდესაც სხვადასხვა სტანდარტის ზოგიერთი კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სულ 4 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 1.2, 2.2, 2.4 და 2.5 კომპონენტებს:

ა) სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსებს შორის გამოვლინდა რამდენიმე გადაფარვა. მაგალითად, "ცხოველის ბიოლოგიის" კურსი მოიცავს ცხოველების (პირუტყვი, ცხვარი, კატა, ძაღლი, ფრინველი) და მათი ორგანოების ნორმალურ ფუნქციებს, რაც სინამდვილეში უნდა ისწავლებოდეს ფიზიოლოგიის კურსში. "ცხოველთა ბიოლოგია" არის გარკვეულწილად დამაბნეველი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ვეტერინარიის საბაკალავრო განათლების აღმწერ მარეგულირებელ აქტში, რაც გულისხმობს ცხოველების ეკოლოგიის, ზოოლოგიის საფუძვლებს (და მიკრო- ბიოლოგიას, თუ იგი არ ისწავლება სხვა დისციპლინებში). ცხოველთა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები, პოპულაციის სიჭარბის დინამიკა, მისი რეგულირება და მეცხოველეობის სტრატეგიები, მეცხოველეთა თემებში ინტრასპეციფიური და ინტერსპეციფიური ურთიერთობები, სახეობების დისპერსიული ფორმები და ცხოველების კონსერვაციის ეკოლოგიური მეთოდები ხშირად არის ამ კურსის მთავარი თემა.

ბ) სიფრთხილით განიხილეთ ცოცხალი ცხოველების გამოყენება პრეკლინიკური მეცნიერებების სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სწავლებისა და მომზადების პროცესში, ცოცხალი ცხოველების გამოყენება არ არის რეგულირებული, ინვაზიური მეთოდები და მტკივნეული მანიპულაციები თავიდან უნდა აიცილოთ (მაგალითად, პათოფიზიოლოგიის პრაქტიკაში). უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი IT საშუალებები (მათ შორის კომპიუტერებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები), ამიტომ უნდა შემუშავდეს სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული მეთოდები.

გ) ასევე, მიზანშეწონილია, მეტი ყურადღების დაეთმობა კერძო მეწარმეობის ძირითადი პრინციპების სწავლებისთვის (ე.ი. კომპანიის ჩამოყალიბების პრაქტიკულ ცოდნას, მართოს ვეტერინარული პრაქტიკა როგორც მეწარმემ, საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები და ა.შ.). ეს შესაძლოა ისწავლებოდეს დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის, მცირე დამოუკიდებელი კურსის ფორმატში, სახელწოდებით "მენეჯმენტის პრაქტიკა".

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

დ) ახალ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები და საკმარისად იყოს თავდაჯერებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარული პრაქტიკა პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. მისი კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლის პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.

ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამა შედგენილი იყო დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

ლევან გორდეზიანი დაინტერესდა დასკვნაში აღნიშნული შეცდომების მიზეზებით, ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს გამოწვეული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის უცხოელ თავმჯდომარესთან ელექტრონულად კომუნიკაციის ფორმატის დროს წარმოქმნილმა პრობლემამ.

უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტსა და გაცვლით პროგრამებში. თანამშრომლობდნენ ესპანეთის, ტარტუსა და ყარსის უნივერსიტეტებთან. მან დაამატა, რომ საბჭოზე განსახილველი პროგრამები წარმოადგენდა უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას და შესაბამისად, ამ პროგრამებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაწესებულებისთვის.

ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო და დაინტერესდა თუ არსებობდა მასზე მოთხოვნა ამ პერიოდამდე, რადგან რეგიონის გეოგრაფიული მდგომარეობა ამას ხელს უწყობდა და მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როგორც კერძო სექტორმა ასევე სახელმწიფო სექტორმა გააცნობიერა ამ კადრების საჭიროება. ადრე არსებობდა ე. წ. „ზოოვეტის" ფილიალი სწორედ ახალციხეში, თუმცა ახლა ლოკალური კადრის საჭიროება გაჩნდა. გარდა ამისა, აქვთ კავშირი ჰქონდათ ყარსის უნივერსიტეტთან, რომელმაც სერიოზული მზაობა გამოთქვა თანამშრომლობის კუთხით. მან დაამატა, რომ ექსპერტებს შესაბამისი მემორანდუმები ვერ დაახვედრეს, რადგან ჯერ არარსებულ პროგრამაზე დოკუმენტის გაფორმება პრობლემას წარმოადგენდა, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გაფორმდებოდა ზეპირი მოლაპარაკების შესაბამისი ხელშეკრულებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ამ საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენა, და ეს იყო კოლექტიური მუშაობის შედეგი. მან დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ძალიან საინტერესო და სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც წაადგებოდა პროგრამას. ლევან მაკარაძემ განაცხადა, რომ კერძო მეწარმეობის საკითხები გაბნეული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსებში, თუმცა დაეთანხმნენ ექსპერტთა მოსაზრებას და გადაწყვიტეს, ცალკე კურსი შეექმნათ „პრაქტიკული მენეჯმენტი", რომელსაც კრედიტების მცირე მოცულობას დაუთმობდნენ. რაც შეეხებოდა ინვაზიური მეთოდების გამოყენებასა და მტკივნეულ მანიპულაციებს, მან აღნიშნა, რომ ცოცხალ ცხოველთა გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მათი უფლებები, თუმცა ამავე დროს, არსებობდა რიგი საგნებისა, რომელიც სწავლების პროცესში გამოიყენებდა ლაბორატორიულ ცხოველებს. პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ შესაძლებელი იყო ცდების კომპიუტერულ მოდელირებაზე მუშაობაც და ტექნიკური აღჭურვილობა გამოყენებული იქნებოდა სწავლების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რამდენად შესაძლებელი იყო მულაჟების გამოყენება. ლევან მაკარაძემ უპასუხა, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი იყო, თუმცა რთული და აუცილებლად შეიძენდნენ.

ხათუნა თოდაძემ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია კურსების გადაფარვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ბიოლოგიის სილაბუსში მომხდარიყო კორექტირება ეკოლოგიური და ზოოლოგიური მიმართულებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორი საერთაშორისო მნიშვნელოვანი პროგრამა ხორციელდებოდა ამ ეტაპზე პერსონალის ჩართულობით, სადაც დონორები იყვნენ ამერიკა, ევროპა და იაპონია. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ასევე გენტის უნივერსიტეტთან.

ანა ფირცხალაშვილმა მხარი დაუჭირა ექსპერტების რეკომენდაციას ცოცხალი ცხოველების შესახებ და კითხვით მიმართა ჯგუფის წევრებს, საიდან გაჩნდა ამ მოსაზრების საფუძველი, რადგან პროგრამა ახალი იყო. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ სილაბუსებში იყო მითითებული, რომ გამოყენებული იქნებოდა ცოცხალი ცხოველები.

ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა რა ცხოველებზე იყო საუბარი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადად გამოიყენებოდა ბოცვერი, ვირთხა, ბაყაყი - სასწავლო ცხოველების გარეშე ვერ მოამზადებდნენ ვეტერინარებს.

თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ ჰქონდათ საცდელი ცხოველების შენახვისთვის საჭირო ბაზა და ლაბორატორიები, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ იყო ყველა რესურსი. უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა კლინიკის შექმნა, რაშიც სერიოზული ინვესტიცია ჩაიდებოდა.

ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსების ძირითადი ნაწილი მოღვაწეობდა თბილისში. შესაბამისად, მისი კითხვა ეხებოდა ტრანსპორტირების უზრუნველყოფას. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ 30 წლის განმავლობაში სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარი ავტობუსით უზრუნველყოფდა აკადემიური პერსონალის ჩამოყვანას და საერთო საცხოვრებელში განთავსებას და ეს უკვე ტრადიციად იყო ქცეული. გაწერილი იყო სად და რამდენი ხნით განთავსებოდა პროფესურა საჭიროებისამებრ. ამას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:16 სთ
დამთავრების დრო – 17:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 12 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია. 12 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	ვეტერინარია
2	სტატუსი[11]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	ინტეგრირებული სამაგისტრო
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„----"
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841 ვეტერინარია
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	0841

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე _____ ბ.ლ.ბ.ბ.ბ.

11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	308
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122; უნივერსიტეტის II კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ქიმია
2	სტატუსი[20]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის ძინა დასახელება[21]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	-
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	0531
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N3, თსუ II კორპუსი, 0179
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ დიახ

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

ლევან გორდეზიანი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ჯგუფის თავმჯდომარე, კარლო ადამო სკაიპის მეშვეობით ჩაერთო სხდომის პროცესში და აღნიშნა, რომ ექსპერტებს დადებითი შთაბეჭდილება შეექმნათ ვიზიტის დროს. მან განაცხადა, რომ უნივერისტეტს ჰქონდა პოტენციალი აღნიშნული პროგრამის წარმატებულად განხორციელებისათვის ინგლისურ ენაზე. ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ინტენსიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში და ძალიან გულმოდგინედ იმუშავა. ჯგუფი შეკრული იყო და ჰქონდათ არაჩვეულებრივი მატერიალური ბაზა. კარლო ადამომ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ქართველი ექსპერტები დაეთანხმნენ უცხოელი თავმჯდომარის მოსაზრებებს და დაადასტურეს, რომ რესურსები ნამდვილად არსებობდა პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე, უკეთესი იქნებოდა უნივერსიტეტის მხრიდან უფრო ძლიერი მხარდაჭერის გამოხატვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ მათი რეკომენდაცია პერსონალის განვითარების შესახებ. ექსპერტმა, გიორგი ტიტვინიძემ უპასუხა, რომ აქ იგულისხმებოდა იმ თანხების დეტალურად გაწერა, რაც მოხმარდებოდა პერსონალის განვითარებას, ეს პოლიტიკა ჩანდა გარკვეულ კადრებთან მიმართებით, ასევე, იყო მზაობა უნივერსიტეტის მხრიდან, უბრალოდ ამ ეტაპზე ბიუჯეტში აღნიშნული საკითხი არ ჩანდა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლ პერსონალს. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობა 1 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. უნივერსიტეტში იყო დაგროვებული სან-დიეგოს უნივერსიტეტის გამოცდილება და ეს კარგად გამოიყენეს ახალი როგორც ქართულ- ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების შესაქმნელად. ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ მუშაობის პროცესში შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან ტარდებოდა რეგულარულად. მან დაამატა, რომ ეისიეს-ის წარმომადგენლობა გაიხსნა საქართველოში და შესაძლებელი იქნებოდა მათი სერტიფიკატის მიღება. ეს არ იყო აკრედიტაცია, თუმცა წარმოადგენდა საერთაშორისო სერტიფიცირებას და სანდიეგოს უნივერსიტეტის პოზიციის მიხედვით, ამ სერტიფიცირების მიღების შემთხვევაში, სტუდენტები მიიღებდნენ ორმაგ დიპლომს, როგორც თსუს- ასევე სანდიეგოს უნივერსიტეტისგან. ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, თუმცა რადგან ახალი იყო საჭირო იქნებოდა დაკვირვება. რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო და გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები. ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტი თავის პროფესურას განსხვავებულ სქემას სთავაზობდა, კერძოდ, პროფესორის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა იყო ანაზღაურებადი. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა იყო ახალი, გაწერილი იყო პირველადი ბიუჯეტი, თუმცა ფაკულტეტის თანხებიდან ხდებოდა ყველა საჭიროების დაფარვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჯიბუტმა აღნიშნა, რომ კადრებთან დაკავშირებული შენიშვნები უკვე გათვალისწინებული იყო. ფაკულტეტზე სხვადასხვა საგრანტო დაფინანსებას იყენებდნენ, კონფერენციები ტარდებოდა ყოველწლიურად. მართალია, ეს ბიუჯეტში გაწერილი არ იყო, შესაძლებლობის შემთხვევაში, ასახავდნენ. დაამატეს 3 ახალი კადრი გადაწყდა, პირველ რიგში ის პერსონალი იყო ჩართული პროგრამაში, ვინც სან-დიეგოს მიერ იყო დატრენინგებული, მათი უმეტესობა უკვე ასწავლიდნენ სან-დიეგოში. ექსპერტების რეკომენდაციის მიხედვით, გააძლიერეს პერსონალი ორგანული ქიმიის მიმართულებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაამატეს, რომ პროფესორების განვითარებაზე ზრუნვა ისედაც ყოველდღიური მუშაობის საგანი იყო.

ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი პროგრამა და თუ შედიოდა ქიმია სახელმწიფოს მიერ დასახელებულ პრიორიტეტულ ჩამონათვალში.

ირმა გრძელიძემ უპასუხა, რომ ქიმია დაფინანსებული პროგრამების სიაში იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ფიქრობდნენ 24 სტუდენტის მიღებას, რადგან ამაზე მეტი ლაბორატორიაში ვერ იმუშავებდა.

ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, ვისზე იყო გათვლილი ინგლისურენოვანი პროგრამა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ფართო თვალსაწიერს აძლევდა სტუდენტს, ითვალისწინებდა და ყველა ქიმია/ბიოქიმიით დაინტერესებული პირისთვის იყო გამიზნული, თუმცა პირველ რიგში, ცდილობდნენ უცხოელი სტუდენტების მოზიდვას.

დენიტა ბიბილეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფიზიკური ქიმიის კურსი ძირითადად თერმოდინამიკით შემოიფარგლებოდა და დაინტერესდა, კურსების შინაარსის უცვლელობა თუ იყო სანდიეგოს მოთხოვნა. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ სანდიეგოს უნივერსიტეტის მოთხოვნა იყო საკითხების თანხვედრა.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 18:04 სთ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დამთავრების დრო - 18:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 12 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია , 12 თვის ვადა ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	ქიმია
2	სტატუსი[29]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„-----"

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ბ.ალფაძის

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	0531
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N3, თსუ II კორპუსი, 0179
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

ნინო ლიპარტიამ და ხათუნა თოდაძემ დატოვეს სხდომა 18:06 საათზე.

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ალექსანდრა

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	შენობის სისტემების ინჟინერია
2	სტატუსი[38]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0788, ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0788
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	242
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო, ქ. თბილისი, 0159 კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240, თბილისი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	–
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	–

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვახტანგ ბალავაძემ წარმოადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროგრამა რეალურად შეესაბამებოდა შენობის სისტემების ინჟინერიის კვალიფიკაციას, რომელიც ამ ეტაპზე არ არსებობდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს ჩამოწათვალში. აღნიშნული პრობლემა უნივერსიტეტს გაცნობიერებული ჰქონდა და ამ ეტაპზე გადაწყდა აღნიშნულ კვალიფიკაციასთან ყველაზე ახლოს მდგომი (ინჟინერია და მენეჯმენტი) დასახელებით შემოეტანათ წარმოდგენილი პროგრამა. ექსპერტმა დაამატა, რომ აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ცენტრთან კვალიფიკაციის დამატებასთან მიმართებით, როგორც კი ეს კვალიფიკაცია გაჩნდებოდა ჩარჩოში, პროგრამა გადავიდოდა შესაბამის კვალიფიკაციაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამა მუშავდებოდა წელიწადნახევრის განმავლობაში, პროგრამის ხელმძღვანელი იყო მაღალი დონის ინჟინერი და მუშაობა მიმდინარეობდა ინტენსიურად. თუმცა მაისში შეიცვალა საკვალიფიკაციო ჩარჩო და ის კვალიფიკაცია, რაც უნდა მინიჭებოდა პროგრამას საერთოდ აღარ იყო გათვალისწინებული აღნიშნულ დოკუმენტში. მშენებლობის ინჟინერიის კვალიფიკაციის დამატების საკითხი პროცესში იყო და როგორც კი იქნებოდა შესაძლებლობა, შეცვლიდნენ კვალიფიკაციას. ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ფორმულირება ცოტა გაუგებარი იყო, რადგან რთულად დასადასტურებელი იქნებოდა იმის დადასტურება, რომ „რაც შეიძლება მეტი" ლიტერატურის

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

დამატებული იყო პროგრამაში და შესაბამისად, შესრულებული ექსპერტთა რეკომენდაცია. მისი თქმით, ხარისხიანი ქართული ტექნიკური ლიტერატურა იყო დეფიციტური, მეორე მხრივ კი საინჟინრო ლიტერატურა მუდმივად ახლდებოდა და იცვლებოდა. შესაბამისად, საჭირო იქნებოდა რაიმე კომპრომისის გამონახვა. სტუდენტებს არ ჰქონდათ ინგლისური ენის პრობლემა. იკვეთებოდა ორი საკითხი, პირველი - თუ როგორ მიეყვანათ სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნამდე და მეორე - ქართული ტექნიკური ხარისხიანი ლიტერატურის დამატება. ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ რეკომენდაციის არსი მისაღები იყო, თუმცა გაზომვა რთული იქნებოდა და სრულად გასაგები არ იყო, როგორ იქნებოდა შესაძლებელი გარკვეული პერიოდის მერე, ანგარიშის წარმოდგენისას ამ რეკომენდაციის შესრულების დადასტურება.

ვახტანგ ბალავაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ნამდვილად ჰქონდა იმის მექანიზმი, რომ სტუდენტი B2 დონემდე აწყვანა, თუმცა ალბათობა იმისა, რომ მოსულიყო ენის სრულიად არმცოდნე სტუდენტი, მაინც რჩებოდა. მან დაამატა, რომ პროგრამა სპეციფიკური იყო და ზოგ ნაწილში ნამდვილად არ არსებობდა ლიტერატურა, თუმცა გარკვეულ ნაწილში მოიძიებოდა ფუნდამენტური ლიტერატურა, ამას გარდა, ლექტორები აწვდიდნენ სტუდენტებს რესურსებს რიდერების სახით. უბრალოდ საუბარი იყო დამოუკიდებელი მუშაობის ნაწილზე, სადაც მიზანშეწონილი იქნებოდა, სტუდენტებს ჰქონოდათ სახელმძღვანელოები.

ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა პირველ და მეორე კურსზე მაინც თუ იყვნენ სტუდენტები უზრუნველყოფილი ქართულენოვანი ლიტერატურით. უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხა, რომ თითქმის 100%-ის შემთხვევაში მიიღწეოდა ინგლისური ენის B2 დონე. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხს კიდევ ერთხელ გადახედავდნენ კრიტიკულად და თუ რაიმეს შევსების საჭიროება გამოიკვეთებოდა, შესაბამისად გაატარებდნენ ღონისძიებებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლების ხედვით პრობლემას წარმოადგენდა უბრალოდ ამ რეკომენდაციის დადასტურება.

ექსპერტმა, ვახტანგ ბალავაძემ აღნიშნა, რომ პირველ და მეორე კურსზე არ აღინიშნებოდა პრობლემა და შესაძლებელი იყო რეკომენდაციის სიძლიერის შეცვლა და რჩევებში გადატანა. ვახტანგ ლეჟავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ პრობლემა შესაძლოა დამდგარიყო თეორიულად პირველ კურსზე სამი საგნის ფარგლებში, რომლებიც წარმოადგენდნენ საბაზო თემატურ საგნებს.

ექსპერტმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე და პრობლემა არ დაფიქსირებულა ვიზიტის მსვლელობისას ამ კუთხით.

თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის რუკა არ იყო მასალებში. ექსპერტმა, ვახტანგ ბალავაძემ განაცხადა, რომ ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტს ვიზიტის დროს.

ანა ფირცხალაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვალიფიკაციის საკითხი გამოწვეული იყო უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, შესაბამისად, ამ რეკომენდაციის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ მათ შეეძლოთ თანამშრომლობა კვალიფიკაციის შესაბამისი სტანდარტის შემუშავების კუთხით, რასაც უკვე ისედაც აკეთებდა უნივერსიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა რეკომენდაციების რედაქციის შეცვლა და შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

ა) განაგრძოს უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის ცენტრთან საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციის დამატებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სტანდარტის შემუშავებაში.

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

ბ) უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო მასალების ქართულ ენაზე მიწოდება, მანამ, სანამ სტუდენტები არ მიაღწევენ B2 დონეს.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო - 18:45 სთ
დამთავრების დრო - 18:55 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ დააკორექტირა ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაციები: „შედეგები მკაფიოდ უნდა ერგებოდეს შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის სწავლის მიზნებს: ეს საქმეს გაუმარტივებს აბიტურიენტებს, რომ განსაზღვრონ მათი სწავლის შესაძლებლობები, დამსაქმებლებს კი - შეარჩიონ კარგი კადრი პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის" და „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თვლის, რომ წარმოდგენილი საინჟინრო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს; ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკრედიტაციის საბჭოს (ABET) მოთხოვნებს ითვალისწინებდეს, რაც კიდევ უფრო მეტ ღირებულებას შესძენს აღნიშნულ სასწავლო პროგრამას" - აკრედიტაციის საბჭომ შეუცვალა აღნიშნულ რეკომენდაციებს რედაქცია და წარმოადგინა შემდეგი სახით: „საჭიროა, საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოხდეს შენობის სისტემების ინჟინერიის კვალიფიკაციის დამატება, რისთვისაც უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს თანამშრომლობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი სტანდარტის მომზადებაში".

ასევე, საბჭომ დააკორექტირა შემდეგი რეკომენდაცია: „ამ კურსებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს სასწავლო მასალების ქართულ ენაზე მიწოდება, რადგან სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სამუშაოს მოცულობა შედარებით დიდია". აღნიშნული რეკომენდაცია საბჭომ წარმოადგინა შემდეგი სახით: „საჭიროა, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდოთ სასწავლო მასალები ქართულ ენაზე მანამ, სანამ უზრუნველყოფილი იქნება მათთვის ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლება".

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შენობის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით და 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	შენობის სისტემების ინჟინერია
2	სტატუსი[47]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	
5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი შშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	„----„

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ბ.ლომინაძე

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0788, ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	0788
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	242
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო, ქ. თბილისი, 0159 კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240, თბილისი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55]	ეკონომიკა
2	სტატუსი[56]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 19 ნოემბერი, №208
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57]	ეკონომიკა
5	უმაღლესი განათლების საფეხური[58]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[59]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60]	„----"
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
10	კვალიფიკაციის კოდი[61]	0311
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[62]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი.
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მაია ბარამიძემ წარმოადგინა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიგნებები, რაც ჰქონდათ ექსპერტებს, მანამდე უკვე გაცნობიერებული ჰქონდა დაწესებულებას და მიმდინარეობდა მათზე მუშაობა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები.

ამის შემდგომ, მაია ბარამიძემ შეაჯამა, რომ ორი ძირითადი მომენტი იყო, ერთი კვლევის დროულად დასრულებისთვის ხელშემწყობი მექანიზმის შექმნა და მიღების კრიტერიუმების გაძლიერება, რათა არაეკონომისტს არ გაჭირვებოდა სპეციფიკური კურსების დაძლევა (მაგ. ეკონომეტრიკა). ეს გააძლიერებდა გარანტიებს და შეამცირებდა საფრთხეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

პროგრამის ხელმძღვანელმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც შეიმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა 90% უკვე გათვალისწინებული იყო და მადლობა გადაუხადა ჯგუფს კოლეგიალური მუშაობისთვის. ამჟამად 2 დოქტორანტს დასრულებული ჰქონდა კვლევა და იანვარ-თებერვალში დაიცავდნენ. მან აღნიშნა, რომ გაანალიზებული ჰქონდათ დისერტაციების დადგენილ ვადაში ვერდაცვის ძირითადი მიზეზები - პირველ რიგში, დოქტორანტები პარალელურად მუშაობდნენ, მეორე მიზეზი გახლდათ ადრე არსებული წინაპირობა, რომლის მიხედვითაც, აპლიკანტს ნებისმიერი ევროპული უცხო ენით შეეძლო ჩაებარებინა პროგრამაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკაში ძირითადი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი, ქმნიდა პრობლემას. გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ საუბარი იყო არა სახელმძღვანელოებზე, არამედ სამეცნიერო ხასიათის სტატიებზე. ყველა თემა მიბმული იყო სამეცნიერო სტატიას, რომლებიც ქვეყნდებოდნენ 4-5 ვარსკვლავიან ჟურნალებში და აუცილებელი იყო, სტუდენტებს ჰქონოდათ ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნა, შესაბამისად, მიუვიანებით აღნიშნული

წინაპირობა შეიზღუდა მხოლოდ ინგლისური ენის მოთხოვნით. გარდა ამისა, ადრე დოქტორანტები აბარებდნენ საკითხებს ბილეთების ფორმატში, რაც ასევე არაეფექტური იყო, შესაბამისად შეიცვალა ეს მიდგომაც და დიდი ყურადღება დაეთმობოდა აპლიკანტის გამოხატულ კვლევით ინტერესს, რაც დადასტურდებოდა გასაუბრებით. ასევე, მოთხოვნილი იყო ორი პროფესორის რეკომენდაცია. დაშვების წინაპირობა შეზღუდული არ ჰქონდათ, რადგან ეკონომიკა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებდა და შესაძლოა ყოფილიყვნენ მსურველები ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგებიდან ან ეკონომიკასთან დაკავშირებული სხვა სფეროებიდან.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დაამატა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას თანამედროვე სწავლების მეთოდების შესახებ. ფიქრობდნენ, რომ ამას პროფესორის ასისტენტობა ჩაანაცვლებდა, ვინაიდან დოქტორანტები ისევ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ, თუმცა გადაწყვიტეს, რომ თემატურ სემინარს დაეთმობოდა 10 კრედიტი და გამოთავისუფლებული 5 კრედიტის ფარგლებში დაამატებდნენ თანამედროვე მეთოდების სწავლების კურსს. გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ თემატური სემინარის დაკავშირების მოსაზრებას კვლევის თემასთან, რადგან კვლევით კომპონენტი წარმოდგენილი იყო 120 კრედიტის მოცულობით, კიდევ 10 რომ დამატებოდა, ეს მოაკლდებოდა სასწავლო კომპონენტის ნაწილს. ამას გარდა, თემატური სემინარის არსი სწორედ იმას წარმოადგენდა, რომ შესაძლებელი იყო დარგში თემის არჩევა, რომელიც არ იქნებოდა დისერტაციის ნაწილი.

ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი მრავალჯერ იყო განხილული და პრობლემურ ხასიათს ატარებდა, რადგან თვითონ მინისტრის ბრძანება იყო ბუნდოვანი.

თეა მჭედლური დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ვერ იქნებოდა კვლევის ნაწილი, მან აღნიშნა, რომ სემინარი იყო სასწავლო კომპონენტის ნაწილი, რაც შეეხებოდა საკითხებს, სემინარის დროს დოქტორანტებს მიეწოდებოდათ დარგთან დაკავშირებულ ლიტერატურა, რათა მისცემოდათ ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების საშუალება. გოჩა თუთბერიძემ უპასუხა, რომ სემინარის თემას ირჩევდნენ ხელმძღვანელი და დოქტორანტი.

ექსპერტმა, მაია ბარამიძემ განმარტა, რომ ექსპერტების მოსაზრებაში იგულისხმებოდა მომიჯნავე თემები, რათა დოქტორანტს გაადვილებოდა მუშაობა, არ იგულისხმებოდა უშუალოდ კვლევის საკითხები.

გოჩა თუთბერიძემ უპასუხა, რომ თემატური სემინარი მაინც არ იქნება აცდენილი კვლევას, რადგან დოქტორანტი და ხელმძღვანელი ერთად ირჩევდნენ საკითხს და მაინც საკითხის ირგვლივ ტრიალებდნენ. პუბლიკაცია უნდა ყოფილიყო ერიხ - ის დონის, სკოპუსში გამოქვეყნებას ვერ მოსთხოვდნენ, რადგან ეს ძალიან რთული იქნებოდა და კიდევ უფრო გაიწელებოდა დაცვის პროცესი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტების მეორე რეკომენდაციას არ იზიარებდნენ „იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს სურთ, ან მოსალოდნელია, რომ ასწავლოთ უნივერსიტეტში, მათთვის უზრუნველყავით დიდაქტიკურ / სწავლების მეთოდებში ტრენინგი".

ანა ფირცხალაშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ სასადილოსთან დაკავშირებული რჩევა აკრედიტაციის საკითხს არ წარმოადგენდა, შესაბამისად საბჭოსთვის რელევანტური არ იყო.

დენიტა ბიბილეიშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რა სტატუსი ჰქონდათ სტუდენტებს, იმის გათვალისწინებით, რომ 5 წლის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ დისერტაციის დაცვას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტები სტატუსს იჩერებდნენ, მათ ჰქონდათ საშუალება, დაემატებინათ 4 სემესტრი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

გოჩა თუთბერიძემ დაამატა, რომ პროფესორების 80% ზე მეტმა იცოდა ინგლისური ენა და ზოგი უცხოეთშიც კითხულობდა ლექციებს. ასევე, პროგრამაში ჩართული იყო უცხოელი პროფესორი, რომელიც 2 საგანს კითხულობდა. მან აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესში იყო ერასმუსის პროგრამა, რითიც ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეეძლებოდათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება.

თეა მჭედლური დაინტერესდა თუ არსებობდა უნივერსიტეტში დოქტორანტის ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნილი კრიტერიუმების დოკუმენტი და თუ მოითხოვებოდა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნება. გოჩა თუთბერიძემ უპასუხა, რომ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა მიმართულების შესაბამისი კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნება, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, იმპაქტ ფაქტორი არ მოეთხოვებოდა, რადგან ეს ძალიან რთული იყო, თუმცა ასეთი პროფესორი ჰყავდათ რომელსაც ჰქონდა გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო - 19:20 სთ
დამთავრების დრო - 19:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) შეიქმნას მონიტორინგის დამხმარე მექანიზმი, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, წარმატებით დაასრულონ კვლევის ეტაპი განსაზღვრულ დროში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს სურთ, ან მოსალოდნელია, რომ ასწავლოთ უნივერსიტეტში, მათთვის უზრუნველყავით დიდაქტიკურ / სწავლების მეთოდებში ტრენინგი.

გ) ჩამოყალიბდით ინვესტიციის საჭიროებებზე და პროგრამის საბოლოო მოლოდინებზე კვლევით ეტაპთან დაკავშირებით (მინიმალური დრო ინვესტიციისთვის), ისევე, როგორც ამ მოლოდინების შეუსრულებლობის შედეგებზე (შეჩერების, გაჩერების, გადატვირთვის წესების).

დ) სასწავლო კურსის, მათ შორის ლექციებისა და ჯგუფური დისკუსიების განხორციელება სწავლების სხვადასხვა მეთოდებით, პრაქტიკულად ტარდება სილაბუსებში მითითებულისაგან განსხვავებულად. (ანუ, ჩვენთვის მოწოდებული იყო განახლებული პროგრამის სილაბუსები, რომლებსაც შეთავაზებენ მომავალი წლიდან). 3 ადამიანამდე დაკომპლექტებულ, მცირე ჯგუფებში ზოგიერთი ჯგუფური ფორმატი არ იმუშავებს. ასევე, ლექციები შეიძლება იყოს დროის არაეფექტური ხარჯვა მასწავლებლებისთვის, ხოლო ინდივიდუალური განხილვის სესიები შეიძლება წარმოადგენდეს უკეთეს ფორმატს. სილაბუსი უნდა ასახავდეს იმას, რაცაა შეთავაზებული სტუდენტებისათვის. თუ პერსონალი აღმოაჩენს, რომ აღწერილი მეთოდები, რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ მუშაობენ, სილაბუსი უნდა იყოს შესწორებული, რათა მოიცვას ის, რაც არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

ე) მაღალი დონის ინგლისური ლიტერატურა გამოწვევას წარმოადგენს პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ენასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ხშირია ქართული თარგმანების გამოყენება (google translate გამოყენებით, რაც არ არის იდეალური), ან გამოიყენება ალტერნატივები ქართულ ენაზე. სილაბუსი მინიმუმ უნდა შეიცავდეს ალტერნატიული ქართული ლიტერატურის სექციას დამატებით სავალდებულო ინგლისურ ენოვან ლიტერატურაზე, თუ მთელი პერსონალი / სტუდენტები არ ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე. მიღებულია, რომ უკეთესი იქნება, თუ პროგრამაზე დაშვებაში ენისადმი მოთხოვნა გამკაცრდება.

ვ) კვლევის ეტაპზე სტუდენტებს ხვდებათ ყველაზე მეტ სირთულე. ამჟამინდელი გამოსავალი - სტატუსის შეჩერება უზრუნველყოფს, რომ კვლევის შიმდინარეობის შეფერხების გამო არ არსებობდეს ფინანსური შედეგები, მაგრამ ეს ვერ აგვარებს აკადემიურ პრობლემას, რადგან სტუდენტებს უჭირთ ხარისხის მოპოვება პროგრამის მიერ განსაზღვრულ დროში (3-5 წელი). პროგრამა უნდა შეიცავდეს უფრო მკაფიო სემესტრულ საკონტროლო ნიშნულებს, ასევე რეაგირებას გარკვეულ ვადებში საკონტროლო ნიშნულების შეუსრულებლობისას. უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტებს მათი საკონტროლო ნიშნულების მიღწევაში. მეტი სიცხადეა საჭირო, თუ შეფერხებები გამოწვეულია კვლევაში დროის ინვესტიციის ნაკლებობით, მონაცემთა ნაკლებობით, მონაცემთა შეგროვების ვადის გაგრძელებით, საკმარისად მაღალი ხარისხის ლიტერატურის ნაკლებობით, ხელმძღვანელების მხრიდან უკუკავშირის არარსებობით, სამუშაოს შეცვლით, ოჯახური სიტუაციებით და ა.შ. შეფერხების მიზეზების ცოდნის გარეშე, ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი შემთხვევების მოგვარება შეიძლება პროგრამის ფარგლებში და რომელი შემთხვევებია პროგრამის კონტროლის მიღმა.

ზ) უნდა შეიქმნას მექანიზმები, რათა კონკრეტული ყურადღება გამახვილდეს კვლევით ფაზაში კვლევის დასრულების უნარზე. დოქტორანტის კეთილდღეობა საკმაოდ რთული საკითხია მსოფლიო მასშტაბით, რადგან დოქტორანტების მოლოდინები და თვითკრიტიკა მაღალია. წარმართეთ პროცესი როგორც კოგნიტურად, ისე მენტალურად.

თ) პერსონალის პროფესიული განვითარება უნდა იქცეს პრიორიტეტად, იმისათვის, რომ კარგად ასწავლო სადოქტორო პროგრამაზე, თანამედროვე საერთაშორისო საკითხავი მასალების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ პერსონალი დატრენინგდეს ამ საკითხში. კარგი იქნება პერსონალის მოტივაციის გაძლიერება და სტიმულირების (მათ შორის ფინანსური) მექანიზმების შექმნა ან პერსონალის მომზადება /გადამზადება და უნივერსიტეტში დასაქმებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შენარჩუნება.

ი) უნდა დაინერგოს გარე უკუკავშირი, როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის საშუალება.

კ) ვინაიდან სადოქტორო პროგრამას 5 წლის განმავლობაში არ ჰყავს კურსდამთავრებული, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, უნდა შემუშავდეს ხელახლა და გაძლიერდეს პროგრამის შედეგების უზრუნველსაყოფად.

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია: „თემატური სემინარი, რომელსაც დიდი დატვირთვა აქვს - 15 ECTS კრედიტი, არ შედის სილაბუსში. რამდენადაც გვესმის, ახლა ის ასევე არ არის ძლიერად დაკავშირებული იმ კვლევასთან, რომლის განხორციელებასაც აპირებს დოქტორანტი. თუმცა, რადგანაც თემატური სემინარი მიზნად ისახავს პროფესორის ხელმძღვანელობით კვლევითი უნარების განვითარებას / გაწვრთნას, ყველაზე გამოსადეგი იქნებოდა თუ დოქტორანტი ამას გააკეთებდა საკუთარი დისერტაციის თემის ფარგლებში, რითაც ხელს შეუწყობდა ნინადადებების შემუშავებას, ლიტერატურის მიმოხილვას ან უკვე იქნებოდა კვლევის ნაწილი. ამრიგად, ჩვენ გირჩევთ, რომ თემატური სემინარის

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მიზნები, აქტივობები და შედეგები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსში და უკავშირდებოდეს სადოქტორო კვლევას".

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრეიტაცია 7 წლის ვადით და 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64]	ეკონომიკა
2	სტატუსი[65]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 19 ნოემბერი, №208
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66]	ეკონომიკა
5	უმაღლესი განათლების საფეხური[67]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[68]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69]	"----"

[64] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[65] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[66] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[67] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[68] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[69] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
10	კვალიფიკაციის კოდი[70]	0311
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[71]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი.
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	-
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი სალომე თოთიბაძე

[70] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[71] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[72] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა